



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაცია

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის“ გამგეობის
სხდომის/ჯგუფის №3
04.04.2019 წელი

გამგეობის თავმჯდომარე:



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისიის (შემდგომში „კომისია“) დებულება შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ აღიარებული „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) „სერტიფიცირებული ბუღალტრის სრული სასარტიფიკაციო პროგრამის“ და „განათლების კომიტეტის“ დებულების შესაბამისად;
- 1.2 დებულება ეფუძნება „ბაფის“ სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ ნორმებს და შემუშავებულია სერტიფიცირების პროცესის აღსრულების მიზნით;
- 1.3 დებულება განსაზღვრავს საქართველოს საგამოცდო კომისიის მიზნებს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის წესებსა და პროცედურებს.

მუხლი 2 კომისიის მისია

კომისიის მისიაა სერტიფიცირების პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, ბაფის განათლების კომიტეტის მიერ დადგენილი საგამოცდო პოლიტიკითა და პროცედურებით გაწერილი წესების მაღალ დონეზე აღსრულებით, ხელი შეუწყოს სერტიფიცირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

მუხლი 3. კომისიის მიზნები

კომისიის საქმიანობის მიზანია, სერტიფიცირებული ბუღალტრის (პროფესიონალი ბუღალტრის, აუდიტორის) სტატუსის მისანიჭებლად დადგენილ პროცესებსა და პროცედურებში მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრების მაქსიმალური ჩართულობითა და საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობით, მოახდინოს ბაფის სერტიფიცირების პროგრამების პოპულარიზაცია და უზრუნველყოს პროფესიული სერტიფიცირების საუკეთესო პრაქტიკის

4. კომისიის სტრუქტურა

- 4.1. კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ აღმასრულებელ სტრუქტურას, რომელიც დამოუკიდებლად ანხორციელებს საგამოცდო პროცესს და ანგარიშვალდებულია „განათლების კომიტეტის წინაშე“
- 4.2. კომისია იქმნება 3-5 პირის შემადგენლობით;
- 4.3. კომისიის შემადგენლობას, 3 წლის ვადით, ირჩევს და ამტკიცებს ბაფის განათლების კომიტეტი;
- 4.4. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს განათლების კომიტეტი;
- 4.5. კომისიის თავმჯდომარე არის ბაფის სამტატო ერთეულით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი;
- 4.6. კომისიის წევრების საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისიის წევრის საქმიანობა მნიშვნელოვნად აღემატება უანგარო შრომის გონივრულ ზღვარს.

5. კომისიის ფუნქციები

- 5.1. კომისია უზრუნველყოფს სერტიფიცირების პოლიტიკითა და პროცედურებით განსაზღვრული საქმიანობის აღსრულებას საგამოცდო პროცესის დაგეგმვიდან გამოცდების დასრულების ჩათვლით;
- 5.2. იწვევს საგამოცდო ტესტებისა და ამოცანების შემდგენლებს, რეცენზენტებს და გასცემს შესაბამის დავალებებს;
- 5.3. პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობაზე კითხვების შემუშავებიდან დაწყებული გამოცდის დასრულების ჩათვლით;
- 5.4 ხელმძღვანელობს ტესტების გამრავლების პროცესს და უზრუნველყოფს მათ მიღება-დაკომპლექტებას;
- 5.5. ნიშნავს გამოცდების მთავარ ზედამხედველს, იწვევს გამოცდის ზედამხედველობის კანდიდატებს, საჭიროების შემთხვევაში იზიდავს და სათანადო ტრენინგებით უზრუნველყოფს ახალ ზედამხედველებს;

- 5.6. მთავარ ზედამხედველს გადასცემს საგამოცდო ტესტებს და მისგან იღებს საგამოცდო ნამუშევრებსა (ტესტებთან ერთად) და ანგარიშს;
- 5.7. იწვევს საგამოცდო ნამუშევრების შემფასებლებს, საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უკეთებს მათ ტრენინგებს;
- 5.8 საგამოცდო ნაშრომებს ანიჭებს კოდებს, ანაწილებს და გადასცემს მათ შემფასებლებს, აბარებსა და აფორმებს შეფასებებს;
- 5.9. გასაჩივრებულ საგამოცდო ნამუშევრებზე იღებს განცხადებებს და ახდენს სათანადო რეაგირებას;
- 5.10 ქმნის საჩივრების განმხილველ კომისიას, რომელიც ხელახლა აფასებს საგამოცდო ნაშრომს. ამზადებს ანგარიშს საგამოცდო ნამუშევრის განმეორებით შეფასების შედეგებზე;
- 5.11. კოორდინირებას უკეთებს საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცედურებს, განათლების კომიტეტის მიერ დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- 5.10. ჩატარებული გამოცდების შედეგებზე ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს განათლების კომიტეტს გამოცდების დამთავრებიდან 20 დღის ვადაში;

6. კომისიის წევრების პასუხისმგებლობა

- 6.1. კომისია საგამოცდო პროცესს ანხორციელებს დამოუკიდებლად, განათლების კომიტეტის მიერ შემუშავებული ზოგადი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.
- 6.2. კომისიის დებულების დაცვა, შესაბამისად, დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის შენარჩუნება, სავალდებულოა კომისიის ყველა წევრისათვის;
- 6.3. კომისიის წევრის მიერ კომისიის დებულებისა და სერტიფიცირების პროგრამით განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევა განიხილება განათლების კომიტეტის მიერ და შეიძლება გამოიწვიოს გაფრთხილება ან, უკიდურეს შემთხვევაში, კომისიის წევრობიდან გარიცხვა.
- 6.4 დაუშვებელია საგამოცდო კომისიის წევრობიდან გარიცხული წევრის შემდგომში საგამოცდო კომისიაში ჩართვა.